წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი N 5

2023 წლის 21 აპრილი

ქ. წალენჯიხა

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ გაბელია. ბიუროს სხდომას 10 წევრიდან ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დარსალია, ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გონერ კვარაცხელია, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე მაია მიქავა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე მამუკა მიქავა, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა, იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომანი კვარაცხელია.

ბიუროს სხდომა დაიწყო: 11:00 სთ.
ბიუროს სხდომა დასრულდა: 11:20 სთ.

სხდომის თავმჯდომარე ავთანდილ გაბელიამ ბიუროს წევრებს გააცნო:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

2. საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების მორიგი სხდომების ჩატარების თარიღის განსაზღვის თაობაზე.

3. სხვადასხვა:

სხდომის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს ბიუროს დღის წესრიგი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ავთანდილ გაბელიამ ბიუროს წევრებს წარუდგინა საკრებულოს აპარატში დარეგისტრირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, რომელზეც უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს ბიურომ ერთხმად გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ა) დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შემდეგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯამრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუბველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ," წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხსენებელი: გიორგი გოგიბერიძე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხსენებელი: თეა სარია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

3. სხვადასხვა:

ა) განსახილველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით კომისიების სხდომები გაიმართოს 2023 წლის 24 აპრილს:
იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა 11:00 საათზე;
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა 12: 00 საათზე;
საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა 12:30 საათზე.

ბ) საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს განსახილველი მასალების გაგზავნა საკრებულოს წევრებისთვის.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე ავთანდილ გაბელია.